შენობა	5%
მანქანა დანადგარები	8%
სატრანსპორტო საშუალებები	8%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	20%

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად თანხამდე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა.

გასვლებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება „სხვა შემოსავალში“ და „სხვა დანახარჯებში“ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საგადასახადო ვალდებულებები. გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 01-იან-17-მდე, საგადასახადო კრედიტი შედგებოდა მიდინარედა გადავადებული გადასახადისგან და აღიარებული იყო წლის მოგებაში ან ზარალში, თუ ის არ იყო აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის ეხებოდა იმ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო, იგივე ან სხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები, მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ბალანსის ვალდებულებების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან შემდეგში შევა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანულისრდება ან გამოყენებული იქნება შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანულისრდება და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნება იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობს ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადანაწილებიდან აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის დანახარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში ან რა თარიღით ჰქონდა ფაქტობრივ გადახდას ადგილი. პირობითი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტრირების, მოცულობითი ფასდათმობების გარეშე. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

კონსოლიდირებული ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. კონსოლიდირებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

საოპერაციო იჯარა. როდესაც ჯგუფი მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა ჯგუფის მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუქცევადი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო კონსოლიდირებულ ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო კონსოლიდირებულ ფინანსურ წელს, მოიცავს

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიკური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. ჯგუფი საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი კონსოლიდირებულად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე. გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც კონსოლიდირებულად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად ჯგუფის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპიკიორი პროაინჯისადმი.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და კონსოლიდირებული ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

6 ფულადი სახსრები	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	3,814	877
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	5	-
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	932
სულ ფულადი სახსრები	3,819	1,809

7 სავაჭრო მოთხოვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
სავაჭრო მოთხოვნები	4,768	1,085
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(233)	(55)
ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	4,535	1,030
სხვა მოთხოვნები	312	230
სულ სავაჭრო მოთხოვნები	4,847	1,260

7.1 საექვო მოთხოვნების რეზერვი	2022
01 იანვარი	-
წლის ხარჯი	233
სულ საექვო მოთხოვნების რეზერვი	233

8 მარაგები	31-დეკ-22	31-დეკ-21
მარაგები	2,014	343
დაუმთავრებელი წარმოება	3	-
სხვა მარაგები	20	40
სულ მარაგები	2,037	383

2022 და 2021 წლების საანგარიშო პერიოდში დანახარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება შესაბამისად 19,289 ათასი ლარი და 7,204 ათასი ლარი.

შპს "როუდ ქონსტრაქშენ"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

9	ძირითადი საშუალებები	შენიშვნები	იჯარით აღებული ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	სულ
	ისტორიული ღირებულება					
	31-დეკ-21	11,325	580	551	2,948	15,404
	შეძენა	508	381	378	899	2,166
	ჩამოწერა	(80)	-	(309)	(406)	(795)
	31-დეკ-22	11,753	961	620	3,441	16,775
	აკუმულირებული ცვეთა					
	31-დეკ-21	423	-	127	796	1,346
	პერიოდის ცვეთა	236	5	106	427	774
	ცვეთის ჩამოწერა	-	-	(141)	(79)	(220)
	31-დეკ-22	659	5	92	1,144	1,900
	ნარჩენი ღირებულება					
	31-დეკ-20	10,903	-	329	1,425	12,657
	31-დეკ-21	10,902	580	424	2,152	14,058
	31-დეკ-22	11,094	956	528	2,297	14,875
10	გუდვილი				31-დეკ-22	31-დეკ-21
	გუდვილის ღირებულება				21,299	21,221
	გაუფასურება				(2,122)	-
	სულ გუდვილი				19,177	21,221
2021 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა შეიძინა შპს "ქონსტრაქშენ გრუპი"-ს (ს/ნ 404582741) 100%-იანი წილი. კონსოლიდაციის შედეგად განხორციელებულმა ინვესტიციამ წარმოშვა გუდვილი რომელიც გაიცვითა 2022						
11	სავაჭრო და სხვა დავალიანება				31-დეკ-22	31-დეკ-21
	სავაჭრო ვალდებულებები				5,488	1,447
	სხვა სავაჭრო ვალდებულებები				148	32
	სულ სავაჭრო და სხვა დავალიანება				5,636	1,479
12	მიღებული ავანსები				31-დეკ-22	31-დეკ-21
	მიღებული ავანსები				3,105	753
	სულ მიღებული ავანსები				3,105	753
13	ნასესხები სახსრები				31-დეკ-22	31-დეკ-21
	გრძელვადიანი სესხი ევროში				1,484	1,484
	გრძელვადიანი სესხი დოლარში				385	385
	მიმდინარე სესხი ევროში				-	568
	მიმდინარე სესხი ლარში				-	500
	მიმდინარე სესხი დოლარში				-	337
	სულ ნასესხები სახსრები				1,869	3,274

ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობის მიზეზით, აღებული აქვს გრძელვადიანი 2 სესხი, ერთი დოლარში ერთი ლარში.

შპს "როუდ ქონსტრაქშენ"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

14 გრძელვადიანი საინვესტიციო ვალდებულება

ინვესტიციის განხორციელების შედეგად ჯგუფის წარმოშვა გრძელვადიანი ვალდებულება შვილობილი ჯგუფის ყოფილი მეპატრონეების მიმართ 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად, 16,931 ათასი ლარი და 19,385 ათასი ლარი.

15 ამონაგები	2022
შემოსავალი სამშენებლო სამუშაოებიდან	42,118
სულ ამონაგები	42,118

16 რეალიზაციის თვითღირებულება	2022
მასალების ღირებულება	19,440
საწვავის ღირებულება	1,644
ცვითის ღირებულება	343
იჯარის ღირებულება	184
სხვა ხარჯების ღირებულება	-
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	21,611

17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022
კომუნალური ხარჯი	11,720
ხელფასის ხარჯი	2,332
ცვითის ხარჯი	774
იჯარის ხარჯი	479
სარემონტო ხარჯი	406
სხვა ხარჯი	181
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15,892

18 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2022
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	96
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	2022
გრძელვადიანი საინვესტიციო ვალდებულება	16,931

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს "ელ+"
მმართველობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

შინაარსი

გვერდი

საქმიანობის მიმოხილვა	1
კორპორატიული მართვის ანგარიშგება	1
არაფინანსური ანგარიშგება	2
ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები	2
ძირითადი რისკები	3
<u>ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 3</u>	

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „როუდ ქონსტრაქშენი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 405116137) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ფეიქრების I შესახვევი , N 2

შპს"როუდ ქონსტრაქშენი" ფლობს 100% წილს სხვა კომპანიაში, კერძოდ შპს ქონსტრაქშენ გრუპში.

კომპანიის დამფუძნებელია სამი ფიზიკური პირი შემდეგი წილობრივი მონაცემით:

გიორგი გოგიბერიძე/01017000384	34%
ირაკლი ნადარაია/01010010188	33%
ვაჟა ფანჩულიძე/41001005533	33%

კომპანიის დირექტორია - ვაჟა ფანჩულიძე (პ/ნ 56001002898).

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურული სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ: გზებზე უსაფრთხოების ზღუდარების მიწოდება-მონტაჟი, გზების მშენებლობა, წყალსადენების მაგისტრალის მშენებლობა და სკვერების მოწყობა.

კომპანიის ბიზნეს პროცესი სრულად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისში , ფეიქრების ქუჩა 1, შესახვევი 2

2 საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2021	2020	ცვლილება %
ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან	41,741	12,519	233%
რეალიზაციის თვითღირებულება	(21,460)	(8,752)	145%
სხვა ხარჯების ღირებულება	(11,755)	(2,981)	294%
ცვეთის ხარჯი	(886)	(578)	53%
ხელფასის ხარჯი	(2,303)	(1,286)	79%
სხვა შემოსავალი/ხარჯი	(2,406)	(178)	1252%
ლიკვიდურობის მაჩვენებელი			
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.36	0.50	
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.99	0.95	

2 საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

2021 წლის ბოლოს კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია და შეიძინა კომპანია შპს "ქონსტრაქშენ გრუპი"

3 არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა	2022	2021
თბილისი	55	48

კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, იგი სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს, რომ პერსონალმა უზრუნველყოს დასახული მიზნების განხორციელება. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

4 სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს რენტაბელობის გაძლიერება, ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საწარმოს განვითარება არსებული ბიზნესის მომიჯნავე მიმართულებებში;

განვითარების რესურსები:

- საკმარისი აქტივები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- გამოცდილება შესაბამის სექტორში;
- კვალიფიციური სამუშაო გუნდი.

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. ამ ეტაპზე მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

5 ძირითადი რისკები

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს დარგობრივი რისკები: კონკურენციის გაძლიერების რისკები; პოლიტიკური რისკები; წარმოებისათვის და პროექტებისათვის შესაძენი მასალების ფასების ცვალებადობა.

საქართველოში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საომარი მოქმედებები მნიშვნელოვნად ამცირებს მოთხოვნას და ინვესტიციების რაოდენობას. ამიტომ აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში არის რისკის მატარებელი.

სხვა რისკები

საკრედიტო რისკი: საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი: საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საოპერაციო მოგების შემცირებას. მენეჯმენტი თვლის რომ ახალი ობიექტის სრულად დატვირთვით მიღებული შემოსავლებით დაძლევა აღნიშნულ რისკს.

სამართლებრივი რისკები

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად. ასევე მოსალოდნელია, რომ

ვაჟა ფანჩულიძე

დირექტორი

შპს როუდ ქონსტრაქშენი

მირანდა ჯაფარიძე

ფინანსური დირექტორი

შპს როუდ ქონსტრაქშენი

1 ოქტომბერი 2023

5 ძირითადი რისკები

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს დარგობრივი რისკები: კონკურენციის გაძლიერების რისკები; პოლიტიკური რისკები; წარმოებისათვის და პროექტებისათვის შესაძენი მასალების ფასების ცვალებადობა.

საქართველოში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საომარი მოქმედებები მნიშვნელოვნად ამცირებს მოთხოვნას და ინვესტიციების რაოდენობას. ამიტომ აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში არის რისკის მატარებელი.

სხვა რისკები

საკრედიტო რისკი: საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი: საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საოპერაციო მოგების შემცირებას. მენეჯმენტი თვლის რომ ახალი ობიექტის სრულად დატვირთვით მიღებული შემოსავლებით დაძლევეს აღნიშნულ რისკს.

სამართლებრივი რისკები

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად. ასევე მოსალოდნელია, რომ

ვაჟა ფნჯულიძე
დირექტორი

შპს როუდ ქონსტრუქშენი

1 ოქტომბერი 2023



მირანდა ჯაფარიძე

ფინანსური დირექტორი

შპს როუდ ქონსტრუქშენი

Handwritten signature of Miranda Japaridze